ხონი

2021 წელი
27
ივლისი
სამშაბათი
№9 (7530)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

ჯულიეტა ქობალია

მთელი ჩემი ცხოვრება სკოლასა და მოსწავლეს უკავშირდება. ათეული წლებია ისინი ავსებენ იმ ულამაზეს სამყაროს, რომელსაც მასწავლებლობა პქვია.

ბედისწერის თეატრი, რომელსაც ცხოვრება პქვია, ყველას თავის ადგილსა და როლს სთავაზობს. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც თავის ადგილს და საუკეთესო როლს სწორად შეარჩევს, მის შესასრულებლად არაფერს დაიშურებს და უანგაროდ დაიხარჯება...

ვფიქრობ, რომ ამ მხრივ ძალიან გამიმართლა... მასწავლებლობა ჩემი ცხოვრების ერთადერთი, განუმეორებელი და შეუდარებელი როლი იყო და არის, რომლის ღირსეულად შესრულებასაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვემსახურე.

ღირსეულად გავლილი ცხოვრების გზა სიცოცხლისა და არსებობის გვირგვინია. ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდ გვირგვინად კი იქცა დამსახურებული მასწავლებლის ნოდების მონიჭება. უჩვეულო იყო მოულოდნელი სიხარულის განცდა, დაუვიწყარი დღის გახსენებაც კი მიჭირს, იმდენად დიდი იყო ემოცია...

თითქმის ნახევარი საუკუნის მოგონებები გაცოცხლდა იმ რამდენიმე წუთში. სევდიანი ღიმილით მოვიხედე უკან, გასავლელად რა გრძელი და ძნელია ცხოვრების გზა, გასახსენებლად კი რა მოკლე... გამახსენდა მასწავლებლობის პირველი დღე, რა სიხარულით მივდიოდით მამა-შვილი მშობლიური სკოლისაკენ, გზა მასწავლებლობიდან დირექტორობამდე ჯერ ხონის მე-2 საჯარო, შემდეგ კი მესამე საჯარო სკოლაში. ნარსული მარტო სინანულისა და მონატრების განცდები როდია... გაცოცხლდა ბევრი ტკბილ-მწარე მოგონება, სიხარული, ტკივილი...

ნარსულში ხანდახან მომავალს ეძებენ. ჩემს ნავალ გზას ჩემთან ერთად მოპყვება თაობები და აალგაზრდაევებს. მათთვის არასოდეს დამიკლია გულის სითბო და ცოდნის მადლი, სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და უანგაროდ მიშრომია, რომ ჩემი ნვლილი შემეტანა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

ემსახურო საქართველოს მომავალს ამაზე დიდი ბედნიერება რაუნდა იყოს მასწავლებლისათვის!

ჩემი აღიარება თქვენ გეკუთვნით ჩემო აღზრდილებო, ჩემო მოსწავლეებო, კოლეგებო, მეგობრებო, რადგან თქვენთან ერთად გამივლია ცხოვრების აღმართ-დაღმართები...

მადლობა იმ ადამიანებს, ვინც ასე შეაფასა ჩემი საქმიანობა, ჩემი მოკრძალებული ნვლილი.

მადლობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხონის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელმძღვანელს-ქალბატონ **ჯულიეტა ქობალიას,** ხონის ღირსეულ მერს ბატონ **ლადო ჯურხაძეს,** ხონის მესამე საჯარო სკოლის დირექტორს-ქალბატონ **ვერიკო ბენიძეს.**

მადლობა სურნელოვანი თაიგულივით შეკრულ ლამაზ, ერთიან, მეგობრულ, პატარა, მაგრამ დიდი გულის მქონე ხონის მესამე საჯარო სკოლას, ჩემი სულისა და საქმიანობის ბოლო ნავსაყუდელს... თქვენთან ურთიერთობა მითბობს მოახლოებული ზამთრის სუსხს, ცხოვრებას მიგაზაფხულებს და ფერადოვანს ხდის...

გულწრფელი მადლობა ყველას, ვინც გულთბილი სიტყვებით მომილოცა და ჩემი სიხარული გაიზიარა.

ვერა ხობუა, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი

გაიმართა დებატები

ადგილობრივ დონეზე საჯარო მმართველობის რეფორმის ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობად და ასევე გამჭვირვალე, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ადგილობრივი მმართვის უზრუნველსაყოფად, კულტურულ-პუმანიტარული ფონდი „სოხუმი" მეწარმე ქალთა ფონდთან და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრთან" პარტნიორობით, ევროკავშირის მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით".

პროექტის მიზანია დასავლეთ საქართველოს – იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და გურიის 8 მუნიციპალიტეტში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფორუმის („ფორუმი") შექმნისა და გაძლიერების გზით, მათი აქტიური ჩართვა ადგილობრივ თვითმმართველობებში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში.

ამასთან დაკავშირებით ამ დღეებში ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სააქტო დარბაზში გაიმართა დებატები.

საქმიროებათა კვლევის შედეგების, სამოქალაქო ბიუჯეტირების, ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და სს ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ისაუბრეს გამომსვლელებმა **ნინო ჭაბუკიანმა, ელისო ჯიქიამ, ბაჩანა ბასილაიამ...**

ხონის მუნიციპალიტეტის მერმა **ლადო ჯურხაძემ** ისაუბრა ცხელი ხაზის, ვებგვერდისა და პეტიციის ეფექტურობაზე, ხონის მუნიციპალიტეტის ღია მმართველობისა და გამჭირვალეობის ეროვნულ პროგრამაში განევრიანებასა და არასამთავრობო სექტორთან ერთად მიღწეულ სხვა შედეგებზე...

დებატებს სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ ლანჩხუთისა და ცაგერის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები **ამირან გიგინეიშვილი** და **მზევინარ ლიპარტელიანი,** რომლებმაც საკუთარი წარმატებული პრაქტიკის მაგალითები გაგვიზიარეს.

დასასრულს გაიმართა დისკუსია, დებატ-რეკომენდაციები.

შეხვედრა მოსახლეობასთან

ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ჯიხაიშში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან

ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი **ლაშა შალამბერიძე** ადგილობრივებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდა სააგენტოს პროექტების შესახებ, მოხდა საიტის **my.mepa.gov.ge-ს** პრეზენტაცია და ადგილობრივების პრობლემების იდენტიფიცირება.

მოსახლეობას ესაუბრა ქალაქის მერი **ლადო ჯურხაძე,** სოფლის რწმუნებული **ზურაბ მიქაძე,** იყო კითხვა-პასუხები, ინფორმაციათა გაცვლა-გამოცვლა და სამომავლო გეგმებზე სოფლის მცხოვრებთა ინტერესის გაზიარება-გათვალისწინება. ითქვა, რომ სააგენტოს მიერ მინოდებული ახალი პროექტები სოფლებისათვის ნამდვილად სასიცოცხლოდ საჭიროა, თუმცა, განხილვის რეჟიმში, შეჯერების პროცესში მოხდება გაზიარება და შესაბამისად ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირება.

მსგავსი შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება.

არსებობენ ასეთი ადამიანები

წერილი რედაქციას

პანდემიამ ადამიანები კიდევ უფრო დააშორა ერთმანეთს. ისედაც გაცივებული ურთიერთობები, ახლა სულ გაქრა. ადამიანები ცხვირს იქეთ ვერ იხედებიან. სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირია...

თუმცა, ბედნიერებაა, რომ ადამიანობა შერჩენილი, კეთილშობილი, ჰომოსაპიენსის შთამომავალნი ისევ არსებობენ და სხვებისთვისაც ცოცხლობენ, ცხოვრობენ, უჭირთ, მაგრამ მათზე მეტად გაჭირვებულს მაინც ეხმარებიან. ასე იყო იმ დილით აფთიაქში შესულ, ორ ხელჯოხზე დამდგარ, დაუძლურებულ ბებოს ქოქოლა რომ დააყარეს რიგში მდგომმა ქალ-კაცმა - **„ფული თუ არ გქონდა, ამდენ ხანს რიგს რას იკავებდიო"... „არ მეგონა ამდენი თუ ელირებოდაო",** - წყნარად თქვა ბებომ და კარისაკენ გაემართა. ახალგაზრდა ვაჟმა აფთიაქარს ფული გადააწოდა და თხოვა - ბებოს ყველა წამალი ჩაულაგეო. მერე მოხუცს დაეწია და გადასცა...

უჭირს ხალხს ყოველკვირეულად გაძვირებული მედიკამენტების შეძენა. განწბილებული მოსახლეობა აფთიაქარებზე იყრის ჯავრს. არადა, მართლა რა მათი ბრალია?! სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოტანილ ერთსა და იმავე მედიკამენტს სხვადასხვა აფთიაქში სხვადასხვა ფასი აქვს. და ეს მხოლოდ გასაკვირი როდია!!!

თუმცა, მეგობრებო, ჩვენს საუბარს რა აზრი აქვს! ნეტავ კი შეეძლოს გაზეთს ამ პრობლემის მოგვარება... მაგრამ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი! ვიბრძოლოთ ერთად!.. ცხონებული კახი კავსაძისა არ იყოს, გვეშველება რამე? გენიალური მსახიობი იმედით წავიდა -გვეშველებაო. ამინ! გვეშველოს!

მარიტა ღოღობერიძე

ხელოვნებას საზღვრები არა აქვს...

„ნიჭს ზრდა, წვრთნა, გახსნა და გაშლა უნდა“.
ილია ჭავჭავაძე

ხელოვნების ნიჭი თანდაყოლილია, თუმცა აღმოჩენა ჭირდება, ის ერთ-ერთი აღმატებული გრძნობაა, როცა სიცოცხლეს აძლევ რაიმე ორიგინალურს და მთელ სამყაროს გინდა რომ გაუზიარო. ხელოვნება საყოველთაოა, მას არც დრო, საზღვრები, ენა, ეროვნება, სქესი გააჩნია - ის უდიდესი ემოციის ძალით გადაეცემა ერთიდან მეორეს. ხელოვანი ადამიანები უსაზღვრო ფანტაზიის უნარით გამოირჩევიან და სამყაროსადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ჭეშმარიტი ხელოვნება ადამიანის ინტელექტს ამაღლებს, სულიერად ასაზრდოებს, ცხოვრების გახუყოფელი ნაწილია...

სწორედ, რომ ცხოვრების გახუყოფელი ნაწილია **ედუარდ გეგუჩაძისთვის** ხელოვნება, მისი სულიერი მოთხოვნილებაა უფრო და უფრო მეტი შექმნას, გაზარდოს, აღზარდოს, ხელოვნების უკვდავებას აზიაროს დიდი თუ პატარა, თავადაც ნიჭიერი, მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, გამოწვევებს არასდროს შეუშინებია, პირიქით, ყოველთვის სიახლეების, უკეთესობის, წინსვლის, წარმატების ძიებაშია. ედუარდს ბევრი უშრომია, ბევრი დაბრკოლებაც გადაულახავს, მაგრამ ხელოვნების სიყვარულს გაუმარჯვია... სწორედ ერთ-ერთი მისი დამსახურებაა ჯერ კიდევ 2013 წლის 3 იანვარს საბავშვო სტუდიის **„ოქროს ხმები“**-ს დაარსება, სტუდიისა, რომელმაც ყველაზე რთულ პერიოდში, ყველა წესის დაცვით გრანდიოზული კონცერტები გამართა ღია ცის ქვეშ, სტუდიისა, რომელმაც პანდემიის პერიოდში ფუნქციონირების შეფერხებისა ან გაჩერების ნაცვლად გაზარდა მოსწავლეების რაოდენობა და განაგრძო მუშაობა ახალი, განუმეორებელი, შთამბეჭდავი პროექტების განსახორციელებლად. სწორედ ერთ-ერთი დიდი წარმატების საფუძველი გახდა ახალგაზრდა შემოქმედის **ნუკრი კარკაძის** მიერ სტუდია **„ოქროს ხმებისთვის“** საჩუქრად გადაცემული 30- მდე ახალი სიმღერა, რომელთა შესწავლა დაუღალავი შრომით **online** რეჟიმში მიმდინარეობდა და 2020 წლის 26 აგვისტოს გრანდიოზული შემოქმედებითი საღამოს გამართვით დაგვირგვინდა, არაჩვეულებრივია **„ქართული ანბანი“** სიმღერით, რომლის მოსმენისას სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ, იგრძნობთ ქართული ანბანისა და მუსიკის ჯადოსნურ შერწყმას. ედუარდის მოსწავლეები ყოველთვის აღნიშნავენ მასწავლებლის შემართების, საქმისადმი სიყვარულის, უსაზღვრო ენერგიის, ახლის ძიების უშრეტი მისწრაფების შესახებ, მისი მეგობრული დამოკიდებულების, თანადგომის, მოტივაციის, ინტერესის, შთაგონების ხელოვნების ფლობის შესახებ. სულ ცოტა ხნის წინ ფესტივალ **„იმერეთის ხმის“** გამარჯვებული გახლდათ სტუდია **„ოქროს ხმების“** აღზრდილი **ლიზი შვანგირაძე,** რომლის შესრულებამ მოაჯადოვა ჟიურის წევრები.

დაე, უთვალავი წარმატება გქონოდეთ ედუარდ შენს მოსწავლეებთან, შენს პატარა თუ დიდ მეგობრებთან ერთად, კიდევ მრავალჯერ გესახელებინოთ შენთვის ფასდაუდებელი ხონი და ხონელები.

ყველა წარმატებასთან ერთად გილოცავთ იმ დიდ სიხარულს, რასაც ნამდვილი, ჭეშმარიტი ქართული ოჯახის შექმნა ჰქვია, გებედნიეროთ და უთვალავი წარმატებით გეხაროთ!

„კავკასია 2021“

დავით ღაღანიძე - ვინ არ იცნობს, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებულ ახალგაზრდას.

საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარისა და ბრწყინვალების ორდენების კავალერი, ქართული ქორეოგრაფიის დესპანის საპატიო წოდების კავალერი ჯერ კიდევ 2002 წელს აარსებს ხონის ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლი **„იმედს“.** პროფესიის სიყვარულით გაჯერებული, მიუხედავად სირთულეებისა დაუღალავად შრომობს ანსამბლის წევრებთან ერთად და 2007 წლიდან იწყება წარმატებებისა და აღიარების ბრწყინვალე წლები, ქ. თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში რესპუბლიკურ ფესტივალ **„ბრავო“** -ზე ხონის ანსამბლი „იმედი“ ოქროს მედლების, ლაურეატობის წოდებისა და პირველი ადგილის ღირსეული გამარჯვებული ხდება, 2008 წელს ქალაქ თბილისში ოპერისა და ბალეტის დიდ საკონცერტო დარბაზში სატელევიზიო ფესტივალის **„მართვე“-ს** წარმატებული მონაწილე ხდება ანსამბლი **„იმედი“ „ოქროს არნივის“** მფლობელი, თითოეული მონაწილე ლაურეატის წოდებითა და პირველი ადგილის მედლებით ჯილდოვდება. წარმატებას წარმატებები მოჰყვება და 2009 წელს ქალაქ თურქეთში ანსამბლი გრან-პრის მფლობელია, ასევე გრან-პრის მფლობელი ბრუნდება ანსამბლი საბერძნეთიდან 2010 წელს. ანსამბლის ქორეოგრაფი **დავით ღაღანიძე** მიღწეულით როდი კმაყოფილდება. მისი ანსამბლი მონაწილეობას იღებს ქორეოგრაფთა კავშირის ყველა ღონისძიებაში და ყველგან წარმატებებითა და აღიარებებით გამოირჩევა, ანსამბლი არა მარტო გასტროლებით შემოიფარგლება, მათ არაერთხელ მიულიათ მონაწილეობა საქველმოქმედო კონცერტებსა თუ ღონისძიებებში. სულ ახლახანს კი ხონის ბავშვთა სანიმუშო სახალხო ანსამბლ **„იმედის“** ბრწყინვალე წარმატებითა და აღიარებით გავიხარეთ.

ქორეოგრაფთა კავშირის მიერ ჩატარებულ ფესტივალ **„კავკასია 2021“–ში** საქართველოს ანსამბლებთან ერთად უკრაინელი თუ სხვადასხვა უცხოელი ანსამბლები ღებულობდნენ მონაწილეობას. ხონის **„იმედი“** ფესტივალზე 4 ცეკვით წარსდგა: **„აფხაზური“, „განდაგანა“, „რაჭული“** და ცეკვა **„თამაში“.** ფესტივალის გახსნის პატივი ჩვენი ანსამბლის წევრებს ხვდათ წილად, რაც დამეთანხმებით ფრიად დიდი პატივი და ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაა. ანსამბლის ბრწყინვალე გამოსვლა, უზადო შესრულება გახდა საწინდარი უდიდესი გამარჯვებისა, ანსამბლმა **„კავკასია 2021“-ს** წოდება მოიპოვა და პატივი ხვდა ნილად მათ მიერ შესრულებული **„აფხაზურით“** გახსნილიყო ფესტივალის დასკვნითი ტური. გილოცავთ ამ დიდ წარმატებასა და აღიარებას **„იმედის“** წევრებს, თქვენს ქორეოგრაფებს **დავით ღაღანიძესა** და მის არაჩვეულებრივ მეუღლეს-**ელენე დვალიშვილს,** რომლებიც მხარდამხარ ხალხურობისა და თანამედროვეობის უზადო შერწყმით, დაუღალავი რეპეტიციებითა და ენერგიით იღვწიან, რათა ხონი და ხონელების ნიჭიერება გაიცნონ და აღიარონ!

დიახ, ნამდვილად „ხელოვნება საყოველთაოა...ის ემოციის ჯაჭვით გადაეცემა ერთიდან მეორეს...“

კულტურის ცენტრის სცენა დაამშვენეს **პაატა გულიაშვილ-**

მა და **ვანო იანტბელიძემ.** ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით რეჟისორ **ავთანდილ ვარსიმაშვილის** სპექტაკლი **„როცა ძალიან მოგენატრები“** წარმოგვიდგინეს ჩვენმა სახელოვანმა თეატრალებმა, რომელთა მიერ განსახიერებულმა სახეებმა დაგვაფიქრეს ყოველდღიურ დუხჭირ ცხოვრებასა და მამაშვილურ დიდ სიყვარულზე.

გაიხარეს ხონელებმა. ამ დღეებში ემოციით დატვირთული სანახაობანი ჭარბობდა და დამაგვირგვინებელი იყო საქველმოქმედო კონცერტი **„ხელოვანები ხელოვანებისათვის“.**

კახა წულაიასა და სხვა ორგანიზატორების მიერ ჩატარებული ეს ღონისძიება იყო მაგალითი იმისა, რომ ხონელებს

შეგვიძლია **„ჭირსა შიგან გამაგრება“** და, რომ სიკეთე გადამდებია და, რომ ყველაფერი კარგად იქნება და **გიორგი ლიპარტელიანი** ისევ მოგვაჯადოებს თავისი ხმით...

სიმბოლურად საღამო გიორგის ფანოლში გამარჯვებული სიმღერით გაიხსნა. თავად გიორგი ემოციებს ვერ ფარავდა, მან მადლობა გადაუხადა ხონის საზოგადოებას, მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის სამსახურს, რომელთა მხარდაჭერითაც გაიმართა ეს საღამო, განსაკუთრებული მადლობა **კახა წულაიასა** და **ედუარდ გეგუჩაძეს,** მონაწილეებს, ხონის კულტურის ცენტრის მხიარულთა და საზრიანთა გუნდს **„იპოლიტელები“,** სტუდია **„ოქროს ხმები“,** ბენდს **„BB“,** ქართული ცეკვის სამოყვარულო სტუდიას **„კლასიკა“** და ყველა მონაწილეს.

გიორგი მალე ჩვენს გვერდით დადგება, ჯანმრთელობა, სიკეთე და ღვთისწყალობა შესანიშნავ მუსიკოსს, დარწმუნებული ვართ ეს ემოციით დატვირთული, მუსიკალურ-შემოქმედებითი საღამო ბევრს დააფიქრებს და... და ყველას ღმერთმა ხელი მოუმართოს სიკეთის კეთებაში. ხელოვანები ხელოვანებისათვის არაერთგზის გაერთიანდნენ.

ლია ჩიხლაძე

ქუთაისში ჩატარდა პრესკონფერენცია

„გურიის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საერთო ფორუმი საჯარო მმართველობის რეფორმის საგზაო რუკის მონიტორინგის მიზნით" ფარგლებში- სამიზნე მუნიციპალიტეტებში (იმერეთის რეგიონში: ხონის, ვანის, თერჯოლისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები;გურიის რეგიონში: ოზურგეთის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები; რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში: ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტები) ჩატარდა მოქალაქეთა ადგილობრივი საჭიროებების N2, ონლაინ კვლევა საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გაუმჯობესებისათვის.

კვლევის შედეგები კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმის", მეწარმე ქალთა ფონდისა და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირ „სპექტრის" წარმომადგენლებმა ონლაინ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნეს.

კვლევა მიზნად ისახავდა საჯარო მმართველობის რეფორმის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის, ელექტრონული მომსახურების გამოყენების ხარისხის ანალიზსა და მუნიციპალიტეტებში საჯარო მმართველობის რეფორმის კონკრეტული შედეგების და გამოწვევების განსაზღვრას.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა არანაკლებ 1200 რესპონდენტი. ჩატარდა 32 სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან და 32 ფოკუს-ჯგუფთან დისკუსიები. საჭიროებების კვლევის განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ადგილობრივი პარტნიორი სსო-ების წარმომადგენლები.

კვლევის შედეგად მიღებული რეკომენდაციები და წინადადებები საფუძვლად დაედო პროექტის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფების სტრატეგიებსა და სამუშაო გეგმებს თვითმმართველობებთან თანამშრომლობის გაძლიერებისა და ადვოკატირების კამპანიების

განხორციელებისათვის საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობის მიზნითა და მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით.

მილოცვა

მავლინა ლოჩოშვილს!

...ოჯახის მეხუთე შვილი, ყველაზე უმცროსი, ყველაზე სათუთი და მოსაფერებელი...

ოთხმოცი წელი შეგისრულდა ჩვენო მავლო, თუმცა არ გეტყობა.

თუმცა კი წლები ჩუმად გარბიან,
სიბერეს ვეტყვი, არ შეგეცილოს,
რომ კვლავ ვუმღეროთ სიცოცხლეს მზიანს,
იგი კარგია!

მოწყალე ღმერთმა დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლის კარი გაგიღო. მერე კეთილი და სტუმართმოყვარე რაჭველი ნადირაშვილების ოჯახი გარგუნა, სადაც „საფიცარი რძლის" სახელი დაიმსახურე. მადლობა შენს მეუღლეს – რომანის ყველაფრისათვის... თქვენი ჩამოსვლა ხონში ჩვენთვის ზეიმი იყო. საახალწლოდ კი თბილისის სპორტის სასახლის „მოსაწვევი ბარათები" ჩვენი ბავშვებისთვის ყოველთვის მზად გქონდათ, რა ტკბილად იგონებენ!..

ცირკიდან დაბრუნებულებს, რომანი – რაჭული სამზარეულოს საუკეთესო მცოდნე, ისეთ სუფრას დაგვახვედრებდა, კაცი რომ ვერ ინატრებდა, იმვიათი ხილეულით დახუნძლულს, ბავშვები რომ გაეხარებინა...

რაჭის სიყვარულმა თბილისიდან ისევ რაჭაში დაგაბრუნათ, ჩვენს შვილიშვილებსაც შეაყვარეთ იგი.. ერთი სული აქვთ, როდის ჩამოვლენ.

გილოცავთ ოთხმოცი წლის იუბილეს დაიკო! ღმერთმა მოგვმადლა, დიდება უფალს!

დები: თალიკო და ლამარა ლოჩოშვილეები
ოჯახებით

თიკა მანჯგალაძესა და ედუარდ გეგუჩაძეს!

ულამაზეს წყვილს – თიკასა და ედოს ვულოცავთ ოჯახის შექმნას – ბედნიერების გვირგვინის თავს დადგმას. ზღვა სიყვარული და ზღვა სიხარული თქვენ! ახალგაზრდებო, ხელიხელჩაკიდებულებსა და გულისგულს მიდებულებს სილაღით, იმედით, ღვთის შეწევნით გაგეელოთ წუთისოფლის ერცელი გზა და ამ სამყაროს სამშვენისად თქვენი შთამომავლობა დაგეტოვებინოთ... უფალმა გაგიძლიეროთ ფუძე, იყავით სულიერად ამაღლებულნი, მხნედ და მშვიდობით და გაგვახარეთ თქვენი არსებობითა და წარმატებებით.

მაია ფეიქრიშვილი,
გაზეთ „ხონის" რედაქცია

ხათუნა წივწივაძესა და ვანო ღონიაშვილს!

გილოცავთ ოჯახის შექმნას. დაგილოცავთ პირველ გადადგმულ ნაბიჯებს იმ დიდი ბედნიერების გზაზე, რასაც მეუღლეობა, ერთ უღელქვეშ დგომა ჰქვია. მრავალჟამიერი ხმიანობდეს და პატარების ჟივილ-ხივილი ავსებდეს თქვენს თბილ ბუდეს. მშვიდობა სულისა და მშვიდობა ქვეყნისა გვისურვებია ახალგაზრდებო. ღმერთმა გილხინოთ, გაძლიეროთ და შეგეწიოთ. თქვენს ბედნიერებას ვულოცავთ მშობლებს. იხარონ თქვენთან ერთად. ბევრი, ბევრი სიკეთით სავსე წლები გქონოდეთ.

მაია ფეიქრიშვილი,
გაზეთ „ხონის" რედაქცია

სიბნელიდან დანახული სინათლე

*ნიჭიერი ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ხონელებს მინდა გავაცნო, **შოთა გიორბელიძეა.** იგი 1998 წლის 27 დეკემბერს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კონტუათში დაიბადა. დედა **ნათია კაკაბაძეა,** რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში, იგი მისთვის სიცოცხლის წყაროა, გულწრფელი, უანგარო სიყვარულისა და სიხარულის გამზიარებელი, საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი, ის არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის უსმენს, გვერდით უდგას და ეხმარება მას ყველა საქმის წამოწყებაში. მამა ხონელთათვის საყვარელი **რაჯი გიორბელიძეა.** ჰყავს ორი წლით უმცროსი ძმა **გიორგი** - სტიქაროსანი, პატარა კუხის წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარში. გიორგი მომღერალია, კულტურის ცენტრის ვაჟთა კვარტეტის წევრი, ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრის თოჯინების თეატრის მსახიობი. გიორგი წერს მუსიკას ძმის მიერ დაწერილ ლექსებზე და შემდეგ თავად ასრულებს. სოციალურ ქსელში გიორგის სიმღერებს უამრავი ნახა და მოწონება აქვს. მოყვარული ძმები ერთმანეთით ამაყობენ, სწორედ მათზეა ნათქვამი: **„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი"-ო...***

*შოთას ცხოვრებაში იყო პერიოდი, როდესაც ცხოვრების მიმართ სულ სხვა შეხედულებები ჰქონდა, როგორც ყველა მისი ასაკისა, გართობაზე, სიცელქეზე და გზააბნეულ ცხოვრებაზე ფიქრობდა... ერთ მშვენიერ დღეს, მის ცხოვრებაში უეცარი გარდატეხა მოხდა: **„სულ სხვა შეგრძნებით გავილვიძე, თითქოს დავინახე რეალობა ყოველი დღისა, რომელმაც დამაფიქრა ცხოვრებაზე. ჭაობში ჩაფლულს ვგავდი, არ ვარსებობდი. უცნაურმა შეგრძნებამ გადამაწყვეტინა შემეცვალა საკუთარი თავი. ერთ საღამოს უფალს ვთხოვე, რალაც ისეთი ეჩუქებინა ჩემთვის, რითაც საკუთარ თავს ვიპოვიდი. რწმენა იმდენად დაკარგული მქონდა მეგონა, ტაძარში სანთლები მალე დნებოდა..."***

ღმერთმა ადამიანს მისცა ფიქრისა და გააზრების უნარი, ადამიანს ხომ გამოუვალი მდგომარეობა ასწავლის საკუთარი თავის სწორად მართვას. სწორედ ასე მოხდა ჭაბუკის ცხოვრებაშიც.. ერთი შეხედვით, მასთან საუბარში, რაც თვალში საცემია, მისი უჩვეულო თავმდაბლობაა.

*22 წლის **შოთა გიორბელიძის** ლოცვა-ვედრება უფალმა შეისმინა და გზააბნეულ ბიჭს მისცა შესაძლებლობა ნიჭის გამოყენებისა და პირველი ლექსიც იქვე, უცებ, თავისით მოვიდა.*

„მე მიყვარდი ზამთრის ღამეს,
როგორც უყვარს
თეთრად თოვა...
მე მწყუროდი,
როგორც ყვავილს
გაზაფხულის ნამის გროვა...
მე ვნატრობდი გაზაფხულზე,
როგორც ნატრობს
მერცხალს ბუდე,
შენც შეიგრძენ სამუდამოდ,
ამ გულში რომ დაიბუდე..."

ამის შემდეგ, თითქოს შინაგანად ყველაფრისგან გათავისუფლდა. გადიოდა წამები, წუთები, საათები, დღეები, მუზა მოდიოდა და მოდიოდა თავისით, შეუჩერებლივ...

შოთა გიორბელიძის** ცხოვრებაში გამოჩნდა კეთილშობილი ქალბატონი, ხონის კოლორიტი, ხონელთათვის უსაყვარლესი პიროვნება, მოკრძალებული, სათნო, ყველას გვერდით მდგომი, ნიჭისა და ნიჭიერების დამფასებელი, ხონის შემატიანე ქ-ნი **თინა ჭელიძე,** რომელმაც დაინახა შოთას ნიჭიერება, დაიბარა თავისთან სასაუბროდ და გაზეთ **„ათინათის"** საშუალებით გზა გაუკვალა პოეზიის სამყაროში, რომელიც შოთასთვის ძლიერ ემოციური აღმოჩნდა. **„ქ-ნი თინა, ისეთი კარგი ადამიანია, რომ მისი ყოველი სიტყვა დღემდე ჩამესმის ყურში — შვილო, ნუ გეშინია, შენ ყველაფერი გამოგივა, ყველაფერს შეძლებ! მან მომცა იმედი და ძალა სიბნელიდან დამენახა სინათლე, სადაც იყო პიროვნება, რომელსაც საკუთარი თავი ჰქვია. მე ვთვლი, რომ ქ-ნი თინას დახმარებით ამ სასტიკ და დაუნდობელ სამყაროში საკუთარი თავი აღმოვაჩინე".

შოთას პიროვნებაში დღითიდღე მატულობს რწმენა საკუთარი თავისა, შესაძლებლობისა, იმისა, რომ მას ყველაფერი შეუძლია, ყველა დაბრკოლებას დასძლევს და ფეხზე მყარად, ამაყად დადგება თავისი ქვეყნისა, მშობლიური ხონისა და ხონელების წინაშე. ის დღეს ძალიან ამაყია, რადგან მან იცის, თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი, თანაც კარგი პიროვნება...

ყოველ ლექსს საკუთარი ისტორია აქვს. ამბობს, რომ კონკრეტული ადრესატი არ ჰყავს, ეისთვისაც წერს, ის მხოლოდ მის წარმოსახვაშია.

***შოთა გიორბელიძე** 200-ზე მეტი ლექსის ავტორია. მისი საყვარელი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეა, მწერალი - რუსი უკვდავი რომანისტი და ესეისტი – თეოდორ დოსტოევსკი.*

შოთას სურვილი აქვს გამოსცეს საკუთარი ლექსების კრებული, ვიმედოვნებთ, მას ამ საქმეში გვერდით მდგომნი აღმოუჩნდებიან...

ჩვენ ისღა დაგვრჩენია წარმატებები ეუსურვოთ მას. ჩვენი გაზეთის მკითხველს კი ეთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს.

სალომე კალატოზი

ჩემი ხონი

ხონის ქუჩებს შეუცვლია ფერი,
ხის ფოთლებში მეწამული ჭარბობს,
ღამაზია თითქმის ყველაფერი,
სატრფოსავით სასურველი, სანდო.
გრილი სიო უდარდელად მღერის..
სადარდელი არავის არ აქვსო.
პოეტს თვალზე შეშრობია ცრემლი
ღამენათევ ლექსის სტროფებს აშრობს.
მენატრება გაზაფხულის მტვერი,
ყვავილების აფეთქებას ნატრობს,
მშობლიური სურნელი და ფერი
შემოდგომის მარანივით ათრობს.

ეს სიყვარული

ვუყურებ ღამაზ ნისლიან თოვას,
გრძნობა მიჩნდება თანაც ღვთიური.
გაუძლებს ათას გრძნობათა ბრძოლას,
ეს სიყვარული მარადიული.
დადის ქუჩაში დრო როგორც მკვლელი,
და სიხარულსაც თალხი აცვია,
შთაგონებაა თვალები შენი,
როგორც რაფაელ სანტის გრაცია.
მომნატრებია სიმკრთალე მთვარის,
სული სიზმრისებრ ანათრთოლია,
ადამიანში ან ღმერთი არის,
ან დემონია, ასე მგონია .
ფიფქებს გავანდე – როგორ მიყვარხარ,
როგორ მღერიან შენზე ფიქრები,
დღეს შექსპირი ვარ და შენ სონეტის,
ყოველი სიტყვის შემდეგ იქნები.
დღეს გაზაფხულის დღეები გადის,
ყინვაც გადნება ატმის კვირტებში,
შენი აჩრდილი ქუჩებში დადის,
მე კი გდარაჯობ ახლო სივრცეში.

მაგონდები

ახლა ისევ მაგონდები, მონატრებით, თრთოლვით,
როგორც ნაზი გაზაფხული, ყვავილების თოვლი.
დაემალათ მზის სხივები ღრუბლებივით ფარდებს,
გუშინ რაც კი მანამებდა, ნაკლებად მადარდებს.
მძიმე გახდა დროება და ვიხსენებ შენს თვალებს,
სისხლში დამდის მგოსნობა და მივეკუთნე ღამეს.
მოვიპარავ, ალბათ, ისევ მე შენს ღამაზ თვალებს,
უსასრულოდ შეგიყვარებ, როგორც „მე და ღამეს".

ჩემო ქალბატონო

ბინდი მოჰფენია ღამეს ქალბატონო..
ცაზე ვარსკვლავიც კი აღარ შერჩენია,
ყოველივე ქვეყნად, რაც კი დახატულა,
შენი სულის მსგავსად ყველა შედევრია.
ჩემში სიგიჟესთან თითქმის ბრძოლა მიწევს,
ძალა აღარა მაქვს, ხმა რომ გაგაგონო..
მე კი დიალოგი მქონდა სიდინჯესთან, –
თუმცა გიჟად ვრჩები, რაღა უნდა მთხოვო?
სადღაც ახლო-მახლო ცივი წვიმებია,
სადღაც იღიმიან თეთრი ყვავილები,
ჩემში ქალბატონო ისევ ირევიან,
როგორც უჩვეულოდ, ცივი ამინდები.

წარმატებული გოგონები – ქალთა ფეხბურთში

10 ივლისს ქ. ლანჩხუთში, ფეხბურთის ფედერაციის აკადემიის ბაზაზე – „გვიმბალაურში“ ჩატარდა დასავლეთ საქართველოს რეგიონული ჩემპიონატი 7X7 ფეხბურთის ასოციაციის ეგიდით **„WPS“ + „MASTER LEAGUE“** გოგონათა შორის.

ზემოხსენებულ ტურნირში მონაწილეობა მიიღო ხონის კომპლექსური სასპორტო სკოლის ქალთა გუნდმა **„ხონის იმერეთმა“**, რომელიც დაკომპლექტებულია სოფელ გორდისა და ქალაქის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლე გოგონებით: **ანი კინწურაშვილი, ნინი სულაბერიძე, მაგდა ჯიშკარიანი, ნათია სულაბერიძე, მაია ბობოხიძე, თამარ ახალაია, თათია აბზიანიძე, ანი გოდერიძე, ანა ჯიშკარიანი, თამარ ფანცულაია, იზაბელა ლეჟავა,** რომლებიც შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ ბათუმის, მარტვილისა და ოზურგეთის გოგონათა გუნდებს შორის, სადაც წარმატებით დასძლიეს ჯგუფური ეტაპი და დაიკავეს პირველი ადგილი.

„ხონის იმერეთი“-ს გოგონებმა დასავლეთ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვება მოიპოვეს. მათ დასკვნით ეტაპზე დაამარცხეს საჩხერის **„ქარიშხალა“** 3:0, თერჯოლის **„საპოვნელა“** 6:0 და გახდნენ **დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები.**

ხონელი გოგონები მეორე ადგილზე გასულ ბათუმის **„თოლიასთან“** ერთად თბილისში მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ საქართველოს ჩემპიონატის გამოსავლენ ოთხთა ტურნირში.

ხონის გოგონათა გუნდი თანადგომისთვის მადლიერებას გამოხატავს **მანანა გელენიძის, ირინა ფანცულაიას, არსენ უგულავას, ლევან სულაბერიძის, თამაზ მეძველიასა** და **ლუკა მანაგაძის** მიმართ, რომლებიც საშეჯიბრო პერიოდის განმავლობაში აქტიურად ეხმარებოდნენ გოგონებს მომზადებაში, ასევე თანადგომისა და ფინანსური მხარდაჭერისთვის გოგონათა გუნდი დიდ მადლობას უხდის ხონის სასპორტო სკოლის ადმინისტრაციას.

ქალები, კიდევ ერთხელ ამსხვრევენ სპრეოტიპს – რომ „ფეხბურთი სპორტზე უფრო მეტია“. საქართველოში დღეს კაცთა ფეხბურთი მოიკოჭლებს, თუმცა თამამად შეიძლება ვალიაროთ, რომ ქალები აქტიურები, წარმატებულები და ღირსეულები არიან ფეხბურთში. ქალები მუდამ ერთ მუშტად არიან შეკრულნი ყველაფერში და, ვიმედოვნებ, რომ ეს კიდევ მრავალი წელი გაგრძელდება.

წარმატებებს გისურვებთ, ჩემო გოგონებო!

ძალოსნების მორიგი გამარჯვება

თბილისის ვაკის ძალოსნობის დარბაზში სტარტი აიღო თბილისის ღია პირველობამ 15 წლამდე ძალოსანთა შორის. შეჯიბრი სამ დღეს გრძელდებოდა. ხონელმა ძალოსნებმა **ირაკლი ჯანაშიამ** (34 კგ კატეგორიაში), **შოთა კაკაბაძემ** (38 კგ კატეგორიაში), **ბესო რურუამ** (42 კგ კატეგორიაში), **საბა ჩიხლაძემ** (67 კგ კატეგორიაში) და **შორენა კვირიტიძემ** (33 კგ კატეგორიაში) მიიღეს მონაწილეობა (მწვრთნელი **აკაკი კაკაბაძე**). ტურნირი საქართველოს მასშტაბით ტარდებოდა. **42 კგ.-კატეგორიაში პირველი ადგილი ბესო რურუამ 41/54/95 დაიკავა,** ხოლო **მე-3 ადგილი 33 კგ. კატეგორიაში შორენა კვირიტიძემ.**

26-27-28 ივლისს დუშეთში ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს რეკორდსმენი **მარიამ მურღვლიანი,** რომელიც 17 აგვისტოს მიემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე პოლონეთში.

წარმატებები ხონელ ძალოსნებსა და მათ მწვრთნელს.

სპორტული მასალები მოამზადა
სალომე კალატოზმა

კეთილმოსაგონრად დაგვრჩება

დალი ბენიძე-ჯალაღანიას ხსოვნას!

ჩვენო მოფუსფუსე დალი, მართალია, წლებია ჩვენთან აღარ მუშაობდი, მაგრამ მუდამ გვახსოვდი, გვენატრებოდი, მუდამ თბილად გიგონებდით ჩვენი რედაქციის საქმეთა მმართველს, კეთილსინდისიერ, საქმის მცოდნე, ერთგულ ადამიანს.

უბრალო, უშუალო, თავმდაბალი, დაკისრებული მოვალეობის უბადლო შემსრულებელი იყავი და ოთხ ათეულ წელზე მეტი პირნათლად ემსახურე საყვარელ საქმეს.

შენმა უანგარო შრომამ, ცოდნამ და გამოცდილებამ განაპირობა ოჯახურ საქმიანობასთან სამსახურებრივი დავალებების სამაგალითოდ შერწყმა. ჩვენს შვილებზე მზრუნველო და მოამაგე დალი მარად კეთილ მოსაგონრად დაგვრჩება შენთან ერთად გავლილი ის ლამაზი წლები.

იმედით შეპყურებდი შენს ლელას, შვილიშვილებს – თეონასა და გიორგის, შვილთაშვილებს. გახარებდა მათი კარგად ყოფნა, შენს ერთადერთ ქალიშვილზე ნიადაგ ფიქრობდი, უსაზღვროდ გენატრებოდა და მოუთმენლად გაპყურებდი იმ გზას, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყო შორეულ იტალიაში წასული ლელა. მაგრამ არ დაგცალდა, შვილის უნახავად წახვედი იმიერში. მეუღლის ჯემალის გარდაცვალებამ ცრემლები და ღრმა მწუხარება დაგიტოვა, მძიმე ავადმყოფობამ დაგძლია და სარეცელს მიგაჯაჭვა.

ყოველ შენს დაბადების დღეს შენთან ერთად აღვნიშნავდით, გილოცავდით, მხოლოდ შარშან ვერ მოგილოცეთ სათანადოდ კოვიდის გამო, წელს კი სწორედ შენი დაბადების დღეს, 25 მაისს, 75 წლის ასაკში მარადიული სასუფეველი დაიმკვიდრე იმიერში.

შენ წახვედი დალი და დაგვიტოვე დიდი სევდა და მონატრება. უფალს ებარებოდე, ღმერთმა ნათელში გამყოფოს ჩვენო დაუვიწყარო ქალბატონო.

ქეთევან ბახტაძე,
გაზეთ „ხონის“
რედაქცია

კინჩხის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ამავე სკოლის პედაგოგს დავით ჩხეიძეს მამიდის

თინა ჩხეიძის

გარდაცვალების გამო.

უთქვენოდ ცხოვრება დასანანია...

პავლიკა კოვზირიძისა და თინიკო უგულავას გახსენება

უთქვენოდ ცხოვრება მართლაც რომ დასანანი და გულდასაწყვეტია ჩემო პავლიკა და თინიკო.

წელიწადნახევრის წინ თამაროობის დღესასწაულზე უბედურება გრიგალივით დაგვატეხე ჩემო ყველაზე ალალმართალო მამიდაშვილო პავლიკა. 33 წელი გისრულდებოდა, თუმცა ავბედითმა ავარიამ შეიწირა შენი სიცოცხლე. 10 ივნისს შეუსრულებელი 34 წელი შენს საფლავზე მოგილოცეთ, შენ კი იქედან, როგორც, გჩვევია ხოლმე მომღიმარი და მომციციმე თვალებით შემოგვყურებდი. ალბათ, ძალიან გიხაროდა ყველა შენი ნათესავის, მეგობრისა თუ ნაცნობის ერთად ნახვა...

პავლიკა, დარწმუნებული ვარ ზეციური საქართველოდან გადმოგვყურებ და გახარებს თითოეული ჩვენგანის წარმატება. ეიცი, ბედნიერი ხარ, რადგანაც წლების განმავლობაში უნახავ მამას – პეტრეს შეხვდი და იქ ერთად, ვინ იცის, რამდენ რამეზე ისაუბრეთ, ალბათ, მამა გეფერება და გტუქსავს კიდეც ასე ადრიანად რომ მიეახლე მას...

თინი, ჩემო მოსიყვარულე, უბოროტო მამიდა. მძიმე ავადმყოფობამ სამი წლის წინ გამოგვაცალა შენი თავი ხელიდან. ბევრი იბრძოლე სიცოცხლისთვის. თუმცა, უძლური აღმოჩნდი. მძიმე სენმა მთასავით გოგოს მოგერია და ადრიანად წაგიყვანა იმქვეყნად.

მამიდა, 10 ივნისი შენი დაბადების დღეა, 51 წელი შეგისრულდებოდა, გილოცავ! საუფლოში ეს დღე მშობლებთან ბორის ბაბუასთან და ცისანა ბებიასთან ერთად აღნიშნე ალბათ.

პავლიკა და თინიკო თქვენი დაკარგვით გამოწვეული ჭრილობები ისევ ახალივითაა თითოეული ჩვენგანისათვის. თქვენ დეიდა და დისშვილი შეუცნობელი სამყაროს მარადიული მკვიდრნი გახდით. უფალს ებარებოდეთ.

ვერ მოგვინელებია თქვენი იმიერში გადასახლება. განგებამ, არ დაგაცალათ, დაგვიტოვეთ გაუნელებელი მწუხარება და მუდმივი ცრემლი...

ჩვენ თქვენს საფლავზე ყოველთვის მოვალთ, მოგიტანთ ყვავილებს, სანთლებს დაგინთებთ და ღმერთს შევავედრებთ თქვენს ლამაზ და სპეტაკ სულებს.

სალომე კალატოზი

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნანე ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი „ხონი“
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
ს/კ 444957913
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
ბოლოიკარიბე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოდლი 96“-ში
დიზაინერი თეა კაკაბაძე
ოპერატორი სალომე კალატოზი
ქუთაისი, იელია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-99.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი